



ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი



სატენდერო დოკუმენტაცია

ელექტრონული ტენდერით

(აუქციონის გარეშე)

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოღაში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების
სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.

CPV-45200000

ჩხოროწყუ
2016 წელი

სარჩევი

| | |
|---|-----|
| 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის ----- | 3 |
| 2. ტექნიკური დავალება ----- | 4-5 |
| 3. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პროექტი ----- | 6-8 |
| 4. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრების ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ----- | 9 |
| 5. რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია დანართი №1----- | 10 |
| 6. ინფორმაცია ანალოგიური სამშენებლო სამუშაოების მუშაობის შესახებ დანართი №2 ----- | 11 |

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.2 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან და ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები:

2.1.1 სამშენებლო ობიექტის სავარაუდო ღირებულება- სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 23969 (ოცდასამი ათას ცხრაას სამოცდაცხრა) ლარს (დღგ-ს) გარეშე.

პრეტენდენტი არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ტენდერში შერჩევა-შეფასება ხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადებისას, ხელშეკრულების ღირებულებაში დამატებით იქნება გათვალისწინებული დღგ-ს ოდენობა.

2.1.2 შესყიდვის ობიექტია -ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოღაში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.1.3 დაფინანსების წყარო - სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2016 წლის 18 ივლისის #1409 მთავრობის განკარგულებით.

2.1.4 სამუშაოების სრული ჩამონათვალი და მოცულობა იხილეთ ხარჯთაღრიცხვაში.

2.1.5 სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს მშენებლობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით.

2.1.6 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტი ვალდებულია დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნით. პრეტენდენტი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 10(ათი) სამუშაო დღეში დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა.

ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.2 სამუშაოს მიწოდების ვადები და პირობები

2.2.1 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან და დაასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 (ას ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

2.2.2 ეტაპების მიხედვით შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს ფორმა N2, ფორმა N3 და ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ.

2.2.3 საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს ფორმა N2, ფორმა N3, და ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ.

2.2.4 შესრულებული და გადმოცემული სამშენებლო სამუშაოების საგარანტიო პერიოდი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 (ერი) წელს დაწყებული სამუშაოების დამთავრებიდან.

2.3 ანგარიშსწორების პირობები:

2.3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.3.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

2.3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება კონკრეტული ეტაპების მიხედვით ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2, ფორმა №3 და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში.

2.3.4 საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2, ფორმა №3, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე წარმოდგენიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში.

2.3.5 ტენდერში წინასწარი ანგარიშსწორება გამოიყენება საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის საფუძველზე არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 30-40%-სა. საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.3. დამატებითი მოთხოვნები

2.3.1 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

2.3.2 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

2.3.3 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორცაა: ტრანსპორტირების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები.

2.3.4 სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

2.4. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტებია:

ა) ხარჯთაღრიცხვა;

ბ) რეკვიზიტები დანართი №1-ის მიხედვით;

გ) ინფორმაცია ანალოგიური სამშენებლო სამუშაოების მუშაობის შესახებ დანართი №2-ის მიხედვით.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამშენებლო სამუშაოები ბოლო სამი წლის მონაცემებით არანაკლებ 55000 ლარის ოდენობით, რაზეც სისტემაში ატვირთული უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულებები ან მიღება-ჩაბარების აქტები. მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართი N2 შესაბამისად.

შენიშვნა: მიმწოდებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედი დასმული.

ხელშეკრულება№ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

დ.ჩხოროწყუ

, 2016 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, (მისამართი: დ.ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის დათო გოგუას სახით შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორე მხრივ (მისამართი:) წარმოდგენილი სახით შემდგომში „მიმწოდებელი“.

2. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაცმათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
 - ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
 - ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, მომსახურების გაწევის, საქონლის მიწოდების, სამუშაოს ან შესრულების ვადები, ხარჯთაღრიცხვა.

3. ხელშეკრულების საგანი

- 3.1 ხელშეკრულების საგანია ელექტრონული ტენდერით (სატენდერო განცხადება) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოლაში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- 3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ტექნიკურ პირობაში ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
- 3.3 კლასიფიკატორის კოდი- **CPV45200000**

4. სამუშაოს შესრულების პირობები

- 4.1.1 მიმწოდებელი ვალდებულია: უზრუნველყოს ხელშეკრულების საგნად მიჩნეული სამუშაოს შესრულება ხარჯთაღრიცხვაში განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით 2016 წლის .
- 4.1.2 სამუშაოები აწარმოოს სამშენებლო ნორმების სრული დაცვით კვალიფიციური მუშა პერსონალით, საჭირო ინვენტარითა და ტექნიკის გამოყენებით.
- 4.1.3 სამუშაოების შესრულების დროს სრულად დაიცვას უსაფრთხოების დადგენილი ნორმები.
- 4.1.4. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
- 4.1.5 მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ან მის მიერ უფლებამოსილ საზედამხედველო ორგანიზაციას შესრულებული სამუშაოს, შემსყიდველ ორგანიზაციაში სამუშაოების მიღების არსებული წესისა და დამტკიცებული ფორმების თანახმად განსაზღვრულ ვადაში.
- 4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
 - 4.2.1 აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად სამუშაოს მიმდინარეობაზე, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციპიკაციების, ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები.
 - 4.2.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახული ვადებით და ფორმით.

5. ღირებულება და ანგარიშწორება

- 5.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს () ლარს .
- 5.2. შესრულებული სამუშაოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან მოხდება უნაღდო ანგარიშწორება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).
- 5.3. ანგარიშწორება ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე.
- 5.4. მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
 - ა) მიღება-ჩაბარების აქტი;

ბ) ანგარიშ-ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები;

გ) შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია.

5.5. ანგარიშსწორების ვადა მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების, მიწოდებული საქონლის ან შესრულებული სამუშაოს მიღებიდან არა უმეტეს 10 სამუშაო დღე.

5.6 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოს ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველის ან და სამისოდ შერჩეული პირის (ზედამხედველის) მიერ დადასტურებული აქტი.

5.7 შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის და საბანკო-სადაზღვევო გარანტიის საფუძველზე. არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 30-40%-სა. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

6.2. შესრულებული სამუშაო მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან დამატებითი ღირებულებების გადახდის ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

6.3 საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს ფორმა N2, ფორმა N3, ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნა.

6.4 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელს, რომლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია „მიმწოდებლის“ მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების, მიწოდებული საქონლის ან შესრულებული სამუშაოს დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, დამკვეთს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოავგარონ მათ შორის წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა. ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის და დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1. მიმწოდებელი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების გადახდაზე,

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან 2016 წლის

15. დამატებითი პირობა

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს,

15.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

მისამართი: დ. ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ#1

საიდენტიფიკაციო კოდი: 242268791

სს„ლიბერთი ბანკის“ ჩხოროწყუს ფილიალი

გამგებელი

/დ. გოგუა/

**4. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია,
რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები
შესყიდვის პროცედურის შესახებ**

4.1 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: გელა ჩოკორაია-
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, წერილობითი მომართვის შემთხვევაში მისამართზე: დ.ჩხოროჭუ,
დ.აღმაშენებლის ქ1, პირველი სართული, მე-4 ოთახი, ჩხოროჭუს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა,
საკონტაქტო ტელეფონი: მობ: 599 86 65 70

ელ.ფოსტა: safinansochxorocku@yahoo.com

თარიღი: — — 2016 წელი

პროტენდენტის დასახელება -----

| | |
|------------------------------|--|
| იურიდიული ფორმა: | |
| ხელმძღვანელის სახელი, გვარი: | |
| საკონტაქტო ტელეფონი: | |
| იურიდიული მისამართი: | |
| ფაქტიური მისამართი: | |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | |
| ელექტრონული ფოსტა: | |
| მომსახურე ბანკის დასახელება: | |
| ბანკის კოდი: | |
| ანგარიშის ნომერი: | |

ინფორმაცია ანალოგიური სამშენებლო სამუშაოების მუშაობის შესახებ

| № | ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი კონკრეტული ობიექტების მითითებით | შემსყიდველის დასახელება რეკვიზიტები | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულების წელი |
|---|--|-------------------------------------|--------------------------|-----------------|
| | | | | |
| | | | | |

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ტენდენტი მონაწილე პრეტენდენტს შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამშენებლო სამუშაოები ბოლო სამი წლის მონაცემებით არანაკლებ 55000 ლარის ოდენობით, რაზეც სისტემაში ატვირთული უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულებები ან მიღება-ჩაბარების აქტები. მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართი N2 შესაბამისად.

